... თუნდაც ქართული დამწერლობა. ის ხომ ერთ-ერთი უძველესი და გამორჩეულია მსოფლიოში დღემდე ცნობილი სულ რამდენიმე დამწერლობათა შორის...

... თუნდაც ქართული დამწერლობა. ის ხომ ერთ-ერთი უძველესი და გამორჩეულია მსოფლიოში დღემდე ცნობილი სულ რამდენიმე დამწერლობათა შორის...

... თუნდაც ქართული დამწერლობა. ის ხომ ერთ-ერთი უძველესი და გამორჩეულია მსოფლიოში დღემდე ცნობილი სულ რამდენიმე დამწერლობათა შორის...

„შუშანიის წამების“ „მეფისწავლის“ და სხვა შედეგების შემქმნელ ხალხს სხვაგან საძებრად უნდა პოვნო!

ქართველი ენაში, როგორც სარკეში, ნათლად აისახება ერის მენტალიტეტი, ტრადიციები, ჩვენი ბედი და უბედობა!

ქართველი კაცი ყოველთვის მიწათმოქმედი იყო და არასდროს ეჭირა თვალი სხვათა მიწებისაკენ. არც ნებით არასდროს დაუტოვებდათ მამული და სხვა ქვეყანაში არ გადასახლებულან. ამიტომ ჩვენთვის, როგორც პატარა ერისათვის, ყოველთვის სანატრელი იყო მშვიდობა, რამაც დაამკვიდრა მისაღების ფორმები: „დილა მშვიდობისა“, „სადამო მშვიდობისა“, „გამარჯვება“ და ა.შ.

მიწათმოქმედის შრომა არ იყო მსუბუქი და ქართველი კაცი რასაც მოიწვედა, „ჭირნახულს“ უწოდებდა. საოცარი სიტყვაა! სასარგებლო საგანს თუ საქმეს „საჭიროს“ ე.ი. ჭირში გამოსაყენებულს ეწოდებდნენ. აკი, რუსთაველმა ბრძანა: განსაცდელში, უბედურებაში ანუ „ჭირსა შიგან გამაგრება, ასრე უნდა ვით ქეთიროსა!“-ო.

ქართველმა იცოდა თავისუფლების ფასი და იგი მთელი სიღრმით მტკიცედ იჭირდა გაშიწიარსებული – სიტყვა „თავისუფლის“ ქვეშ გულისხმობდა „თავის უფალს“, ე.ი. „საკუთარი თავის უფალს“, საკუთარი თავის პატრონს.

მე არ ვიცი ამ ტერმინის ანალოგი მოიძებნება თუ არა სხვა ენებში. სიტყვები „ხელისუფლება“, „ხელმწიფე“ და სხვა ღრმა შინაარსის მატარებელია.

ქართველის ღირსების, მენტალიტეტის და ტოლერანტობის ამსახველად კიდევ ერთ სიტყვას მოგახსენებთ: „დაკრძალვა“. მტერი იყო თუ მოყვარე, ქართველი კაცი პატივით მიაბარებდა მიწას და ამას დაკრძალვას უწოდებდნენ, რადგან ქართველისათვის საფლავის შეურაცხყოფა, თუნდაც ის მტრისა ყოფილიყო, საკუთარი ღირსების შელახვად იყო მიჩნეული. ე.ი. ტაბუდადებული იყო.

მშვიდობას და მშვიდობიან შრომას დანატრებული ქართველისათვის ყველა დეცხო მეგობრად და მოყვარედ მოსული ღვთის წყალობად იყო მიჩნეული და ამბობდა „სტუმარი ღვთისააო“. ამასთან, გამასპინძლებისას თავს არ ზოგავდა და

მაშინ, როცა მსოფლიოს ზოგიერთ ხალხს და ქვეყნებს ჯერ დამწერლობაც არ აქვოდათ, საქართველოში იწარმოებოდა საკაცობრიო ცივილიზაციის ისტორიისათვის ფრიალ საყურადღებო ლიტერატურული ნაწარმოებები. თუნდაც რად ღირს თხუთმეტი საუკუნის წინანდელი ქართული ლიტერატურული ძეგლი იაკობ ცურტაველის „წამება წმიდისა შუშანიისი დედოფლისა“, რაც ცარიელ ნიადაგზე ვერ აღმოცენდებოდა. მაშასადამე, მას წინ უძღოდა ქართული კულტურის და ლიტერატურის აღორძინების ეპოქები. ... და, აჰა, XII საუკუნეში, როცა ბევრი ქვეყანა ჯერ კიდევ საკმაოდ შორს იყო ცივილიზაციის განთავისცხვან, საქართველოში შეიქმნა მსოფლიო ლიტერატურის, ფილოსოფიის და მეცნიერების გვირგვინი შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“.

რითაც შეეძლო პატივს მიაგებოდა. უთუოდ ესაა საფუძველი იმისა, რომ ყოველივე საუკეთესოს „საცუცხოს“ უწოდებს ქართველი. ამასთან ერთად ქართველს სტუმარი არასდროს გაურჩევია ეროვნების თუ რელიგიური მრწამის მიხედვით.

ჩვენი ერის ამ უნიკალური ტრადიციის გამო ქართულ მიწაზე საცხოვრებლად მოდიოდნენ და მრავალი საუკუნის განმავლობაში ქართველთან ერთად მძვინვარებდნენ ჭირსა და ღვთის ებრაელები, ბერძნები, სომხები, აზერბაიჯანელები, რუსები, ქურთები, ასირიელები და ა.შ.

ქრისტეს კვართიც ხომ ებრაელებმა ჩამოიტანეს მცხეთაში!.

არ უნდა გაგვიკვირდეს, თუ მსოფლიოში ბევრისათვის დღესაც გაუგებარია ქართული სტუმარ-მასპინძლობა.

არ ვიცი, როგორ უნდა გავაგებინოთ მსოფლიოს სხვა ერების წარმომადგენლებს, ვინც უნდა იყვნენ ისინი – რუსი, ფრანგი, ესპანელი, გერმანელი, ინგლისელი თუ სხვა, რა ხდება მოკლებული მხატვრულ ფილმ-კომედიაში „ღვინის ქურდები“. შუალაშისას საკუთარ მარანში ელიბომ შეუსწრო ღვინის ქურდებს – თანასოფელ მწყემსებს, რომლებიც ჩუმად

მარანში შეიპარნენ, მოხადეს ქვევრი, დაიწვეს ღვინის სმა, რასაც სიმღერაც მიჰყოლებს.

რას იზამდა ამ დროს განზოგადებული მასპინძელი? ცხადია, პოლიციას გამოიძახებდა და სხვისი ქონების ხელმყოფ „საზოხლარ“ ღვინის ქურდებს ციხეში უკრავდა თავს, რაც კანონშესაბამისი ქმედება იქნებოდა.

... მაგრამ ქართველი კაცის მენტალიტეტსა და ბუნებაში კეთილი გულით მოსული ადამიანების საჩივარი ან დაბუზღება არ ზის და ელიბოც „ქურდებთან“ ერთად მიუჯდება სუფრას, გულუხვად მასპინძლობს, ღვინოს ასმევს და მათთან ერთად იღვინს, თუმცა ეს ქურდობის შემწეობა არაა! ქურდობაზე მეტად სამარცხვინო ქართველისთვის არა იყო რა!

გაიგებს ამას სხვა ერის წარმომადგენელი?

არადა, ეს არის ქართველი კაცის სულის უნიკალური თვისება და სიმადლე!

ამ ფონზე იქნებ უპრიანია ითქვას, რომ შემთხვევითი არამც და არამც არ შეიძლება იყოს, ღვთისმშობლის წილხვედრი რომა ჩვენი მადლიანი მიწა და შემთხვევითი არც ისაა, ჩვენში წმინდა ნინო რომ შემობრძანდა ქრისტიანობის გასავრცელებლად.

კაცთმოყვარეობა, რელიგიური და ეთნიკური ტოლერანტობა, სხვათა ღირსებისა და უფლების პატივისცემა, საკუთარი და სხვათა ტრადიციების ერთგულება, ადამიანური ურთიერთობის სითბო, ზრდილობა განათლებით და ცოდნის დაუფლებით ძნელად შეიძინება, თუ ის ადამიანის გენში არ არის კოდირებული.

ბევრი ჩვენთაგანი, რომლებსაც განათლებით და მეცნიერული ხარისხებით მოგვაქვს თავი, სოფელში სუფრასთან ერთად უთუოდ შეხვედრია გლეხს, „განათლება რომ არასოდეს მიუღია“. ამ გლეხს არც სიტყვა-პასუხი ეშლება, არც ტაქტი და მანერები, არც სუფრის სხვა წევრებისადმი პატივისცემა და სიყვარული, თანაც ღამაზად ენამხეობს და ღაზითიანად მახვილსიტყვაობს, დაკოჰრილი ხელით ასწვეს სასმისს და აცრემლებული თვალებით ამბობს მამულის სადღეგრძელოს და ა.შ.

საიდან ჩაბუდა ამ „გაუნათლებელ“ ადამიანში ამ საოცარი სიმადლის სულმა?

ეს ქართული გენია, რომელიც საუკუნეებმა გააჩინეს ქართველში.

პირადად მე და, ალბათ, ბევრი ჩემისთანა, სწორედ ასეთ გლეხს ვუწოდებდით განათლებულს, ხოლო ჩვენ, ინსტიტუტ-უნივერსიტეტ გამოვიღო ხარისხიანებს და განათლებულს, მხოლოდ „მცოდნე“-ს დავარქმევდით... და თუ ასეთი „მცოდნენი“-ც იმ გლეხის ღონემდე ვამადლებდით, ეს ქვეყნის ბედნიერება იქნება.

ქართული დამწერლობა, როგორც ზემოთ აღვნიშნე, და ქართული სიტყვებიც ინფორმაციის მატარებელია, რომლის კოდი ქართველობამ, ქართულმა სულმა და ქართულმა მიწამ შექმნა და ჩაღო.

მაგალითად, სევანურად კაცს „მარე“ ჰქვია. ვფიქრობ, ამ ტერმინს უნდა უკავშირდებოდეს ქართული სიტყვა „სამარე“, ე.ი. კაცის დასაკრძალავი ორმო, ანუ საფლავი. ანდა, „წყალტუბო“, ხომ სუფთა მკურნალია და თბილს – „ტიბუ“, წყალს – „წყარი“ ე.ი. თბილ წყალს ნიშნავს.

ცხადია, უამრავი ასეთი მაგალითის მოყვანა შეიძლება.

ბენია თხილაშა, მეცნიერ-სპეციალისტა და ჟურნალისტა სამეცნიერო-შემოქმედებითი კავშირ „ინტელექტის“ პრეზიდენტი, საქართველოს ჟურნალისტთა შემოქმედებითი კავშირის წევრი (გაგრძელება შემდეგ ნომერში)

ლევან ზანბურაშვილი: "სიკვდილი რეცეპტი!"

გვიპოვებს და მონღოლეთის შემდეგ, საქართველო მსოფლიოში მეხამე ქვეყანაა, სადაც ასე ფართოდაა გავრცელებული C ჰეპატიტი. ხოლო, თუ რატომ აწუხებს ყოველ მეორე ადამიანს ღვიძლი, ამის პასუხს, მაღალია სურსათის საყიდლად რომ შევალთ, დასლზე დავინახავთ!

როგორც ყველამ ვიცით, დღეს საქართველოში C ჰეპატიტით დაავადებულ ადამიანებს უფასოდ მკურნალობენ. „ეს ერთ-ერთი წარმატებული პროექტია, რომელიც ივანიშვილის მთავრობამ განახორციელა“, - იუწყებიან ტელევიზიები და ხელისუფლების წარმომადგენლები.

გაინტერესებთ, რატომ არის ეს „გრანდიოზული“ და ასეთი „მასშტაბური“ პროექტი „წარმატებული“ და, ამაყდროვლად, უფასო?

„აქამდე წამლებს ცხოველებზე ცდიდნენ, რადგან არაფერ იცის, თუ რა გავლენას მოახდენს ესა თუ ის ახალი წამალი ადამიანზე. ახლა კი, ქართველებზე ჩატარებულ ზუსტად იგივე ცდებს, როგორც აქამდე ცხოველებზე ატარებდნენ. მათი ხელისუფლება კი, არაფერს აკეთებს ამის აღსაკვეთად – საკუთარი მოსახლეობის წინაშე ბოროტად სარგებლობა არის სწორედ ის საფასური, რისი გადახდითაც საქართველოს მთავრობა დასავლეთის მხარდაჭერას მიიღებს“ – წერს გამოცემა ე.წ. **Eastern Outlook**.

იქვე ვკითხულობთ: „ამა წლის 22 აპრილს, კომპანია Gilead Sciences-მა ოფიციალურად განაცხადა, რომ ის საქართველოში გამოიყენებს როგორც უფასო ლაბორატორიას, C ჰეპატიტის განსაკურნად შექმნილი, თავისი, ახალი წამლების გამოსაცემად“.

ამ ყველაფრის შესახებ სააგენტო „როიტერსი“ წერს: „ამერიკული ბიოლოგიური კომპანია „Gilead Sciences“ ცდილობს დაიწყოს აშშ-ის მთავრობა, რომ მის წამლებს შეუძლია განსაკურნოს C ჰეპატიტი. ამისთვის მას განზრახული აქვს განახორციელოს პროექტი საქართველოში, რომლის ფარგლებშიც დაავადებულ მოსახლეობას უფასოდ დაურთავს თავის წამლებს. ეს უპრეცედენტო პროგრამა საქართველოს აქცეფს საცდელ ქვეყნად, სადაც გამოიყენებს იქნება როგორც ძვირადღირებულ წამალ **Sovaldi**-ს ბაზები, ასევე კომპანიის ახალთახალი პროდუქტი არგონი“. (როიტერის საიტზე გამოქვეყნებული სტატია შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე). ამ ცდების წარმატებით ჩატარების შემთხვევაში, კომპანიის მესვეურნი იმედოვნებენ, რომ წამალს აშშ-ის ხელისუფლება დამტკიცებს.“

ის, რასაც ზემოთ აღნიშნული ავტორიტეტული საიტები წერენ, ვფიქრობ, კომენტარს არ საჭიროებს...

ახლა თავად ამერიკული კომპანია **Gilead Sciences**-ის აღმასრულებელ ვიცე-პრეზიდენტ გრეგ ალტონს (**Gregg Alton**) მოუხსენოთ, რომლის სიტყვებსაც იგივე სააგენტო „როიტერსი“ მოიშველიებს: „საქართველო თავის პატარა ტერიტორიით და მასზე მცხოვრები ხუთი მილიონი მოსახლეობით არის იდეალური ქვეყანა სამეცნიერო კვლევების ჩასატარებლად. საქართველოდან მიღებულ მონაცემებს ჩვენ გავაცნობთ მსოფლიოს სხვა ქვეყნებსაც, რათა დიდი ხნით დავასუსტოთ ეს ავადმყოფობა“.

„სქემა, რომელსაც მხარს უჭერს „აშშ-ის დაავადებათა კონტროლის და პროფილაქტიკის ცენტრი“, 2015 წელს მოიცავს 5 ათას პაციენტს. მეორე ფაზა კი (რომელიც შეიძლება არც ჩატარდეს), – 20 ათას პაციენტს ერთ წელიწადში“, – იუწყება „როიტერსი“.

ცნობისათვის: წამალი **Sovaldi** აშშ-ში 2013 წელს დამტკიცდა და 1.000 დოლარი ღირს. ისეთი გაჭირვებული ქვეყნებისთვის, როგორც საქართველოა, ერთი ფლაკონის (28 აბი) ფასი 300 დოლარია და საჭიროებს საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების მიერ დაფინანსებას.

გაინტერესებთ, კიდევ რა წამალს აწარმოებს ამერიკული კომპანია **Gilead Sciences**? – საქვეყნოდ ცნობილ „ტამიფლუს“! ეს ის „ტამიფლუს“, რომელიც 2009 წელს მსოფლიოში „ღორის გრიპთან“ (H1N1) საბრძოლველად გავრცელეს. ფრანგული

გაზეთი **Le Figaro** დიად წერდა: „ტამიფლუს“ სკანდალი: ღორის გრიპზე ფარმაცეუტებს 2,6 მილიარდი გააკეთეს“ ევროპელმა მეცნიერებმა ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციას ანტივირუსული მედიკამენტების მწარმოებელ კომპანიებთან შეთქმულება დასდეს ბრალად და ეჭვი შეიტანეს „ტამიფლუს“ ეფექტიანობაში.

„არავინ იდარდებს, თუკი რამდენიმე ქართული შეწირება დასავლეთის ქვეყნებში მცხოვრებ ადამიანთა ჯანმრთელობაზე ზრუნავს“, – წერს გამოცემა ე.წ. **Eastern Outlook**.

ჩვენი ქვეყნის ხელისუფლება, განზრახ არ გვაწვდის ინფორმაციას საცდელი მედიკამენტების შესახებ და გვიმალავს „უფასო მკურნალობის“ ნამდვილ მიზნებს! ეს არც პოლიკლინიკების რიგითმა ექიმებმა იციან. ჩვენ, ხალხმა, არ უნდა ვიცოდეთ ამის შესახებ!

„საქართველოს იყენებენ სხვა წამლების გამოსაცემადაც. რამდენიმე წლის წინ, აშშ-ის თავდაცვის (!) დეპარტამენტი დააფინანსა 75 ათასი სასწრაფო ვაქცინაცია საქართველოში წითელას ეპიდემიის აღმოსაფხვრელად“, – წერს გამოცემა და იტყვით დასძინებს – „ქართველებს გამოიყენებენ როგორც თეთრ ვირთხებს და ეს არის ადამიანზე ექსპერიმენტების ჩატარების იმ პროგრამის გაგრძელება, რომელიც ნაცისტების ექიმმა იოზეფ მენგელმა დაიწყო ოსვენციმის საკონცენტრაციო ბანაკში. მსგავსი ექსპერიმენტები ტარდება წლობით და ინიღბება სხვადასხვა პროგრამის სახელით“.

ცნობილი ამერიკელი ჟურნალისტი ჯეფრი სილვერმანი კი აცხადებს: „საქართველოში სორციელდება ისეთი საშიში ინფექციური დაავადებების ლაბორატორიული კვლევები, როგორცაა „კურდღლის ცხელება“ და ჯიღენი. ამერიკის შეერთებული შტატები საქართველოში შავი ჭირის საიდუმლო შტამს ინახავს მისი შესწავლის მიზნით. ლუგარის ლაბორატორიას შეერთებული შტატების თავდაცვის (!) დეპარტამენტი მართავს, სადაც ცდიან ბიოლოგიურ იარაღს სხვადასხვა ქვეყნის მოსახლეობაზე, მათ შორის – საქართველოს მოსახლეობაზე. ამერიკის თავდაცვის დეპარტამენტი საქართველოში სწავლობს ისეთი ბაქტერიების ახალ შტამებს, როგორცაა „ციმბირის წყლული“, მათ ზემოქმედებას პირუტყვზე – საყოფაცხოვრებო პროდუქტში! ასე ცდიან ახალ ვაქცინებს. გარდა ამისა, ქობულეთის მახლობლად არსებობს ლაბორატორია, რომელიც სამხედრო დანიშნულებით მუშაობს და მას დიდი ბრიტანეთის თავდაცვის დეპარტამენტი მართავს“, – დასძინებს ცნობილი ჟურნალისტი.

„სახელმწიფოს სუსტი რეგულაციები და მოსახლეობის გაუნათლებლობა არის მიზეზი იმისა, რომ გაჭირვებული ხალხი საკუთარ სიცოცხლეს სწირავს“, – წერს გამოცემა ე.წ. **Eastern Outlook** და გულისხმობს ჩვენს ქვეყანას. „საქართველო არის სწორედ ის ადგილი, სადაც მსგავსი ფაქტები ხშირია, რადგან იქ, პრივატიზაციის შედეგად, ბევრი საავადმყოფო და კლინიკა კერძო ფარმაცეუტულ კომპანიებს გადაეცაო“. გამოცემა იქვე განმარტავს, რომ შეიძლება სწორედ ესეცაა მიზეზი, თუ რატომ შეძირდა საქართველოს მოსახლეობა 4.371.535-დან (2002 წლის მონაცემებით) 3.729.635-მდე (2014 წლის მონაცემებით) – რაც მინუს 14.7 პროცენტს შეადგენს!

ასეთია ჩვენი „ამერიკელი მეგობრების“ და „მთავარი სტრატეგიული პარტნიორის“ მზრუნველობის შედეგი. თუმცა, არავინ დაფიქრებულა, თუ რაოდენ სასიცოცხლო ჯდება, როცა ამხელა, ძლევაშობელ ქვეყანას „ჩვენს (!) პარტნიორად“ მოვიარებთ – გამოდის, რომ ისინი ჩვენ გვიწვევენ პარტნიორობას მსოფლიო გლობალური პრობლემების მოგვარებაში. თუმცა, ეს სხვა თემაა.

New Eastern Outlook-ის ჟურნალისტი ფაქტებზე დაყრდნობით იტყობინება, რომ აბასთუმის ტუბდისპანსერში ასევე ფართოდ გამოიყენება საცდელი წამლები იქ მყოფ პაციენტებზე. აღნიშნავს, რომ სააკაშვილის მმართველობის პერიოდში, ტუბერკულოზით დაავადებული პაციენტები იქ განაგრძობდნენ საცდელი წამლებით

„მკურნალობას“ სასიკვდილოდ! ხოლო მათ სიცოცხლეს, როგორც ყოველ პაციენტზე, არც არავინ დარღობდა!

ყველაზე ცუდი კი, ის არის, რომ ამ ყველაფერს ხელს უწყობენ ჩვენი ქვეყნის, ქართული გავრცელების მატარებელი, პირდაპირი მნიშვნელობით, ნაგავი ადამიანები, რომლებიც სიმდიდრის სანაცვლოდ, არად ავდებენ არც საკუთარი ხალხის, არც, ხოცადაც, ადამიანების სიცოცხლეს! ჩვენ კი, მათ პატივს ვცემთ, მეტიც – ისინი „ღირსეულ“ ადამიანებად მივგანჩნა

გამოცემა იქვე მცირე ისტორიულ ექსკურსს გვთავაზობს და აღნიშნავს, რომ 1997 წელს, ბილ კლინტონმა, როგორც აშშ-ის პრეზიდენტმა, ამერიკელების წინაშე საჯაროდ ბოლიში მოიხადა „ტუსკიჯის ექსპერიმენტის“ გამო (**Tuskegee syphilis experiment**). ეს ექსპერიმენტი ძალიან დიდხანს, 1932 წლიდან 1972 წლამდე გრძელდებოდა და გულისხმობდა ალბამის შტატში, ქალაქ ტუსკიჯიში, აფრო-ამერიკელი მოსახლეობის სიფილისით განზრახ დაავადებას ამ დაავადების სტადიების შემდგომი შესწავლის მიზნით. მიუხედავად იმისა, რომ 1947 წლიდან პენიცილინი ითვლება ამ დაავადების სამკურნალო საშუალებად, მოსახლეობას არაფერი უთხრეს მის შესახებ, – მეცნიერებმა, აშშ-ის ხელისუფლების მითითებით, გაგრძელეს კვლევები და პაციენტებს პენიცილინის შესახებ ინფორმაცია დაუმალეს. ამაყდროვლად, მკაცრად აკონტროლებდნენ, რათა კვლევაში ძალიან მონაწილეობა, შემთხვევით არ მიემართათ სხვა საავადმყოფოებში სამკურნალოდ. შედეგად ბევრი ადამიანი დაიღუპა, ბევრმა გადასდო თავის მეუღლეს, განჩნდნენ ბავშვები თანდაყოლილი მწვავე ავადმყოფობით. ექსპერიმენტი მხოლოდ 1972 წელს დასრულდა, როცა პრესაში შემთხვევით გაჟონა ინფორმაცია ამ ამბავზე სკანდალი გამოიწვია. თავად ამერიკელები ამ ექსპერიმენტს აშშ-ის ისტორიაში ყველაზე სამარცხვინოს უწოდებენ.

ეს, რაც შეეხება ადამიანის უფლებებს, თავისუფლებას და დემოკრატიას თავად ამერიკის შეერთებულ შტატებში.

ორიოდ დღის წინ, თბილისში, გამარჯვების პარკში რამდენიმე ძალიან პატრიოტიკული ორგანიზებულად მივიდა, რათა ტელეკამერების წინ, ფაშიზმზე გამარჯვების აღსანიშნავად მისულთათვის (მათ შორის, ხანდაზმული ადამიანებისთვის), მეკრდიდან გეორგიევსკის ლენტები ჩამოეკლავათ, – ის ლენტები, რომელთა ტარებაც საქართველოს კანონმდებლობით აკრძალული არ არის. ტელეკომპანია „რუსთაუ-2“ სიუჟეტს სიუჟეტზე უძღვნიდა მათ, ვინც წესრიგის დარღვევისთვის დააკავეს. თუმცა, არც კი უფიქრია, სასხვათაშორისოდ მაინც, ვითხა, რა უფლება აქვს ვინმეს დაუშალოს ქვეყნის სრულფასოვან მოქალაქეს ატაროს ის, რაც კანონით აკრძალული არ არის. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ყოველად აბსურდულია, როცა ხსენებულ ლენტზე „ოკუპაციის სიმბოლოდ“ განიხილავენ, – ამ ლენტს არანაირი კავშირი არა აქვს არც სამაჩაბლოსთან, არც აფხაზეთთან! მით უფრო გაუგებარია, როცა მას საბჭოთა სიმბოლოსთან აიგივებენ, რადგან საბჭოთა კავშირის დროს, კომუნისტური ხელისუფლება ამ ლენტს არასდროს ადიარებდა და არც რაიმე დატვირთვას აძლევდა!

შეიძლება ვიფიქროს, რომ ბევრი ახალგაზრდა შეცდენილია. ალბათ, არ უნდა შევიტანოთ ეჭვი მათ პატრიოტიზმში, სამშობლოს სიყვარულში მაგრამ, თავად კი, იციან, რა არის სამშობლო, სამშობლოს სიყვარული, პატრიოტიზმი?..

როცა ვინმე პირში ვიძინებს და, ამაყდროვლად, შენს ხალხს, შენს სისხლსა და ხორცს, შენი ქვეყნის მოსახლეობას, როგორც თეთრ ვირთხებს, საცდელად იყენებს, ექსპერიმენტებს უტარებს, – მას მეტი პქვია ყველა ენაზე! ხოლო, თუ შენ მას მეგობრად მოიხსენიებ და მასთან მეგობრობ – ან დიდი ბრიყვი ხარ, ან, ძალაუბრებულა, – შენი ერის მოღალატე!

საინტერესოა, არ რეაქცია ექნებათ სწორედ იმ ადამიანებს, თუკი ზემოთ მოყვანილ ინფორმაციას გაიგებენ? მივარდებიან აშშ-ის საელჩოს, ან ჯანდაცვის სამინისტროს „სამშობლოს სიყვარულით“

ავტორები? თუ დარჩებიან ასე, „მტრის არმცნობი, მოყვრის მეგობარი“, ძალიან პატრიოტები?! შემთხვევით, დიდმა ილია ჭავჭავაძემ ისინი ხომ არ იგულისხმა ამ სიტყვებში?

თუმცა, როცა ადამიანი განათლებას „რუსთავი 2“-ის ეთერის საშუალებით ღებულობს, შედეგად, მეტი არც მოუთხოვება, გარდა იმისა, იყოს „ლენტებთან მეგობარი“. დღეს უნიჭო „კომედი შოუს“ უნდა უყუროს, ხედავ – უხმო მომდერლები კონკურსს... გააგზავნოს SMS-ით თავისი „რჩეულის“ მხარდასაჭერად, – რელურად კი, მობილურ კომპანიას გადაურცხოს თავისი დანახოვი, ნაცვლად იმისა, გაჭირვებული ადამიანისთვის მიეცა იგივე 50 თეთრი, რათა ამდამ შინ უპოვოდ არ დაბრუნებულიყო... მართალია, 9 მაისს, ფაშიზმზე გამარჯვების აღსანიშნავად, თბილისში, ვაკის პარკში ხალხი ლენტებით მივიდა, სამაგიეროდ, გორში, გორელები საბჭოთა კავშირის წითელი დროშების ფრიალით გამოვიდნენ, – სწორედ ის გორელები, რომლებმაც ყველაზე მძიმედ გადაიტანეს 2008 წლის ომის ტრავმაცია!

ხუმორ ნახსენები ძალიან პატრიოტიკები ხომ არ დაინტერესდებიან, გორელებისთვის ეკითხათ, ყველაფრის მიუხედავად, რატომ ეჭირათ წითელი დროშები?!

ვიღაც ზედმეტად დემოკრატი, ან ლიბერალი იტყვის, რომ სტალინის ეპოქა ცუდი იყო, რადგან ადამიანებს „ხალხის მტრებად“ ნათლავდნენ და ხვერტდნენო.

შეიძლება გადაჭარბებით გამომიხედეს ქვემოთ ნათქვამი, მაგრამ... ერთი წუთით, წარმოიდგინეთ, რომ მსგავსი მკურნალობა თქვენ, ან თქვენს საყვარელ ადამიანს სჭირდება. მიდიხართ ექიმთან, საავადმყოფოში. იქ კი, სიხარულით გეუბნებიან, რომ სამკურნალოდ ათასობით დოლარის გადახდა არ დაგჭირდებათ, საქართველოში მკურნალობა სრულიად უფასოა – რაღაც დამაზო სიტყვების კომბინაციის „პროგრამის ფარგლებში“. ოღონდ არავინ გეუბნებათ, რომ სიტყვა „უფასო“ გულისხმობს ამერიკული კომპანიის ახალი წამლის თქვენზე გამოცდას, რის შედეგად შეიძლება ვერ გადარჩეთ და გაცილებით მაღელვარებით იმქვეყნად, ვიდრე ამას თავად ავადმყოფობა მოგისწრაფებდათ. წარმოიდგინეთ, რომ თქვენ ყველაფერს „post factum“ იგებთ, ბოლო ჟამს. საინტერესოა, თქვენ რას უსურვებდით მათ, ვინც ექსპერიმენტი ჩაეკარათ? გაიხიარვდით სტალინის მიდგომას „ხალხის მტრებთან“ დაკავშირებით?

ფარმაცეუტული კომპანიების პატრონები კი, მდიდრდებიან ჩვენს ხარჯზე, რიგითი ადამიანების ხარჯზე! ცხოვრობენ ფეშენებელურ ვილებში, ფლობენ საკუთარ იახტებს, თვითმფრინავებს – იმიტომ, რომ რომელიმე გაჭირვებულ ქვეყანაში, ამ ქვეყნის მთავრობის მხარდაჭერის სანაცვლოდ, ადამიანებზე ახალ წამალს ცდიან...

ესაა სწორედ ის „კაპიტალიზისტური დემოკრატია“, რომელიც ასე მოგვახვევს თავს თავად ამ დემოკრატიის „პატრონებმა“ და ჩვენც, ბრიყვი ხალხი, გულმოდგინედ ვიცავთ ამ წყობას!

P.S. დღეს, ამერიკული (და არა მარტო ამერიკული) ფარმაცეუტული კორპორაციები ჩვენ, ქართველ ხალხს, გვიყენებენ ბიოლოგიური ექსპერიმენტების ჩასატარებლად. თუ გადავწყობთ, ალბათ, პლაკატზე დაგვახატავენ – სარეკლამოდ. ხოლო, თუ საქართველოში C ჰეპატიტი ისე გაქრა, რომ ჩვენც გავვიყოლა, მაშინ დარჩებიან პლაკატის გარეშე და ეგ არის... მეტად, ჩვენ, არ ვუღივრათ!

დროა გამოვფიხნდეთ! ნუ დავრჩებით ასე „არისის მქონედ, არისის მცოდნედ, ზრუნველი და მშვიდი“!

საბინფორმით

“ილოროს“ კომენტარი: ჩვენ არაერთგვაროვნად განვიხილავთ მკითხველებისათვის, რომ სახალხო მკურნალობის ბიჭიკო (დომენტი) გაგნიძის პრეპარატი 100-პროცენტულია გარანტიით არჩენს C ჰეპატიტს.

მკურნალის კოორდინატები მითითებულია გაზეთის ბოლო გვერდზე. ვისაც სიცოცხლე რამდენ გიღიროთ, მიმართეთ სახალხო მკურნალს, ვისაც არა – დარჩით ევროამერიკელთა მიერ ჩატარებული ექსპერიმენტის იმედად!



თავისუფალი საქართველოს მემკვიდრეები

ქართველნი! მაღლა ასწიეთ მერაბ კოსტავას მიერ აღმართული სამშობლოს თავისუფლების სამყვრონი ადამი...

26 მაისი საქართველოს ისტორიის უმნიშვნელოვანესი დღეა. 1918 წლის 26 საქართველოს პირველი რესპუბლიკის დაბადების დღეა...

26 მაისს საქართველოს მრავალსაუკუნოვან ისტორიაში პირველად, 1991 წლის 31 მარტის რეფერენდუმისა და 9 აპრილს გამოცხადებული დამოუკიდებლობის საფუძველზე...

ეს დღე ხომ ეროვნული გმირის მერაბ კოსტავას დაბადების დღეა. მან თავისი ცხოვრება, თითქმის ბავშვიდან ქრისტიანული...

გალითები, როგორც ზვიადისა და მერაბის ცხოვრება გახლავთ, არ გახდეს საქართველოს ახალგაზრდობისა და ერისათვის...

მერაბ კოსტავამ, „თავის თავგანწირული სულისკვლით - მისივე სიტყვებითვე რომ ვთქვათ, რომელიც მან გურამ რჩეულიშვილს მიუძღვნა - ჰქავს უზარმაზარ სიმადლეზე მოხაზა გოგონათის სურათი და ასე დარჩა იგი ჩვენს წარმოდგენაში...“

მისი შემოქმედებითი ღირებულებების ნათელი მაგალითია მისი სახლი, რომელიც 1991 წლის 1 იანვარს პრეზიდენტმა ზვიად გამსახურდიამ სახელმწიფო მუზეუმად გამოაცხადა...

მუზეუმი ერთგვარად მე-20 საუკუნის მე-2 ნახევრის ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის ისტორიის მემკვიდრეებს წარმოადგენს...

ნურაავის დაავადება, რომ საქართველოს მხაკარ მტრებს, დღესაც აქვთ მკდელობა ამ ორი ბუმბერაზი ქართველის დაშორებისა და იმ ქრისტესმთავარი ძმობის...

წარმოჩენას, რაც გამიზნულია სამშობლოსათვის თავმწირული ამ ორი რაინდის სახელის შესაბამისად.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას კანონიერი, კონსტიტუციური, ლეგიტიმური ხელისუფლების - უზენაესი საბჭოს აღდგენის ეროვნული კომიტეტის სახელით:

ბიორბი კამბასიელი (კმრვალიშვილი), კომიტეტის მთავარი კოორდინატორი, სრულიად საქართველოს ადამიანის უფლებათა ასოციაციის პრეზიდენტი;

ბესო (ბესარიონ) მიძავა, იბერიულ-კავკასიური მოძრაობის თავმჯდომარე;

ნანა კახიანი, იბერიულ-კავკასიური მოძრაობის პრეს-მდივანი;

დავით ბერძენიშვილი, იურისტი, ადვოკატი;

ზურაბ ძოგალია, ჟურნალისტი;

მანანა ჯიჟიშვილი, იბერიულ-კავკასიური მოძრაობის წევრი;

ბულიკო ბილაძე, ადამიანი უფლებადამცველი;

ვალტერ ოჩიაშვილი, ყოფილი პოლიტიპტიმარი;

ნუშაზარ კობახიძე, ადამიანის უფლებადამცველი;

ნარო კოლეჩიანი, მწერალი;

ბურაბ ბაბუნია, უზუნვესი დისიდენტი;

ბიორბი ბოგვაშაძე, „ძლევაი საკვირველის“ დამფუძნებელი

რიჩარდ ნორლანდი კომოვობიასა და ტრანსფორმაციასთან ბრძოლის დღეს მიესალმება

აშშ-ს ელჩმა რიჩარდ ნორლანდმა 17 მაისთან დაკავშირებით განცხადება გაავრცელა:

- „ხვალ ჰომოფობიასა და ტრანსფობიასთან ბრძოლის საერთაშორისო დღის მე-11 წლისთავი აღინიშნება. ამ დღეს, კიდევ ერთხელ, მხარს ვუჭერთ ყველა ადამიანის თანასწორობასა და ღირსებას და ვადასტურებთ, რომ ადამიანის უფლებები უნივერსალურია...“

თქვენო აღმატებულია, ბატონო რიჩარდ ნორლანდ, კაცმა რომ თქვას, არაფერი გვაქვს თქვენს მიერ შენობა-ნაგებობების წინადადების საწინააღმდეგო, მაგრამ, აკ. არც იწყება და არც მთავრდება თქვენთან შეკითხვები, რომელიც ქართველ ერთან ერთად მეც დამიგროვდა.

სადაც რადიოში მოკვარი ერთ ასეთ რეკლამას (!) ყური, - „საბჭოთა ადამიანებს სექსი არ ჰქონდათ!-ო.

ამას, გადამწყვეტი მნიშვნელობა არ აქვს ახლა!

მე თქვენთან მაქვს, ბატონო ნორლანდ, შეკითხვა:

- თქვენ მართლა გჯერათ, რომ სსრკ-ში სექსი არ ჰქონდათ?

როგორც ვიცი, თქვენ სსრკ-ში და მის შემკვიდრე რუსეთში დიდხანს გიმუშავიათ და კარგად უნდა იცოდეთ, რომ, თუ სადმე იცოდნენ რა იყო სექსი, - სწორედ სსრკ-ში და მის შემკვიდრე რუსეთში იცოდნენ, რადგან იქ კაცი კაცთან და ქალი ქალთან კი არ უვებოდა (როგორც ეს თქვენს ქვეყანაში ხდება), არამედ ქალი და კაცი წვეტილებოდნენ და, რომ იტყვიან, ძირის გავადნამდე ბუქნაობდნენ, სანამ ორივე ბოლომდე არ ამოწურავდა სიამოვნების მიღების

სურვილს!

თქვენ, სექსის თავისუფლებას და „დემოკრატიას“ ქადაგებთ, რაც არც ჩვენთვის არის მიუღებელი, მაგრამ საინტერესოა, თქვენ ან თქვენი მეუღლე როგორ თანხმდებოდით სექსუალური „დემოკრატიის“ საკითხებში, როცა, როგორც დიპლომატს ხშირად გიხდებოდათ გრძელვადიანი მივიღებებში ყოფნა და, თუ გეპოლიათ სხვა სექსუალური თქვენ ან თქვენს მეუღლეს?

- ესეც საინტერესოა ჩვენთვის, თქვენი პირიდან მოსმენილი!

არ არის გამორიცხული, ამ სფეროშიც დაინერგოს, ახალი, თქვენგან შემოთავაზებული, ნოვატორული იდეა, მაღალი დონის ამერიკელი დიპლომატის ცოლ-ქმრული გამოცდილებიდან!

კარგა ხანია, ბატონო ნორლანდ, თქვენ საქართველოში იმყოფებით და, რასაკვირველია, შეამჩნევდით, რომ ქართველები სახელით მიგმართავენ ერთმანეთს და არა გვართ, მაგალითისთვის, - ბატონო „ზვიად“ და არა ბატონო „გამსახურდა“!

ამიტომ, ნება მიბოძეთ, მოგმართოთ ქართულად (მინიმუმ ხუთიათასწლიანი ტრადიციით), რაც ასე უღერს, - ბატონო რიჩარდ!

სანამ საქართველოში ელჩად მოგაგულენდათ აშშ-ს პრეზიდენტი, ბატონი ობამა, (ბოდიშს ვიხდი, სახელი არ მახსენდება), დარწმუნებული ვარ თქვენებურ, მცირე „ტრენინგებს“ მაინც გაივლიდით, - სადა ვისთან მიდიოდით, ვინ არიან ქართველები და რა პრიორიტეტებით შეიძლება მათი მოხიბლვა!

დაუფიქრებლად შემიძლია გიპასუხოთ, თქვენ ეს ყველაფერი გაიარეთ, მაგრამ ყველაზე და ყოველთვის დამახინჯებული ფორმით, რადგან ელურად შევარდნადის მიერ „გაპირებული“ საქართველო, ყველაზე და ყველაზე წინაშე წარმოდგენილი იყო, როგორც ერთ-ერთი ის ქვეყანა და ხალხთაგანი, რომელიც ამომხებს „დედა-მამას“ (დაუკვირდით სახელს, - „დედა-მამა“, სადაც თქვენთან, აშშ-სთან ერთად ვცხოვრობთ და როგორ მოვიხსენებთ მას!)

ამიტომაც დაუდგინდა მას „განვითარებადი ქვეყნის“ სტატუსი!

რა გელაპარაკოთ, ყოველივე ეს, თქვენ, ჩემგან ნახსენები „დედა-მამის“ ახალი გადანაწილების ფლაგმანი ქვეყნის სრულყოფილებიან ელჩს, ყველაზე კარგად მოგეხსენებათ!

ამაზე არ ვკამათობ, მაგრამ გზად კიდევ ახალი კითხვა გამიჩნდა:

- თქვენ ხომ, აშშ-ში გამოზრდილი კადრების (რომლებიც ყველაფერს იკადრებენ, ოღონდ თქვენი დავალება შეასრულონ) საქციელიდან და საკუთარი ქვეყნისადმი მათი დამოკიდებულებით მსჯელობდით, როცა პირველად ჩამოხვედით საქართველოში?

- კარგა ხანია აქ ბრძანდებით, ბატონო რიჩარდ, ხომ არ შეგეცვალათ წარმოდგენა, თქვენს სამშობლოში გამოზრდილი კადრების საქციელის გამო, ქართველებზე?

ჩვენ, ქართველებს, უამრავი მეფისნაცვალი გვინახავს საქართველოში, დაწყებული უხსოვარი დროიდან, დამთავრებული კომუნისტური 70-წლიანი დიქტატურით, მაგრამ არცერთ მათგანს არ უკადრებია ქართველებისთვის, - კაცის კაცთან და ქალის ქალთან წოლა, სექსუალურ თანასწორობად მიიღეთ!

- ბატონო რიჩარდ, ჩვენ კარგად გვესმის, რომ, თქვენს ოჯახში მიღებული წესი ჩვენთან შეიძლება უცხო იყოს, მაგრამ, - როგორ მიმართავენ, მცირეწლოვან ბავშვს (ბიჭს ეძახით თუ გოგოს), სანამ იგი გააცნობიერებდეს, სასქესო ორგანო მარტო მონასწარდად არ ჰქონია, და მას, სხვა, უფრო მნიშვნელოვანი დანიშნულება აქისრია?

- მე არ დამაკმაყოფილებს თქვენი მოსალოდნელი პასუხი, - „რომელსაც თვითონ აირჩევს!“

ბატონო რიჩარდ, პირადად მე და ჩემთან ერთად ქართველი ერის დიდი ნაწილი (ბოდიშს ვიხდი, საქართველოში მცხოვრებს სხვა ეროვნების მაცხოვრებლებთან, რადგან მათ არ ემუქრებათ, თქვენეული, გადაშენების პროექტი!), მოწიწებით და მორიდებით გავიბედავთ კიდევ ერთი შეკითხვა დაგისვით:

- თქვენ რომ საქართველოში მოგაგულინათ აშშ-ს პრეზიდენტმა, ტერიტორიები-ნამოვალევი საქართველოს გაერთიანება დაგისახათ უპირველეს მიზნად, თუ ღოგინში შემკვირალი ორი კაცის და ორი ქალის უფლებების დაცვა???

მე აქ ვამთავრებ თქვენთან დიალოგს, რომელსაც ღრმად და სერიოზულად, მოგვიანებით მივუბრუნებ!

თუ სურვილი გექნებათ, შეგხვდებით!

„რამდენიმე კვირაა, ბევრს საკულტოტოებენ ქართული ეროვნული ვალუტის, - „ლარის“ კურსის დაცვამზე!“

- დამახსოვრეთ, მიუხედავად მიძემ გასაჭირისა, - ფულით საქართველოს ვერავინ შეისყიდის!

დიდი პატივისცემით

დავით ძოგალია

გაზეთ „ილოროს“ კომენტარი: ამერიკის ელჩს ბატონ რიჩარდ ნორლანდს ერთი მისთვის ფრთხილად სასიხარულო ამბავი გვინდა გაუწყოთ - რამდენიმე დღის წინ ინტერნეტსივრცეში გაავრცელდა ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ მონაკოს პრემიერ-მინისტრმა კაცზე იქორწინა. გასაოცარი ამასი არაფერი იქნებოდა, სიმეც და მისი გულის რჩეულიც მამაკაცები რომ არ იყვნენ! მაგრამ ვერასეულად ვერ დავადგინეთ, ამ ქორწინების შემდეგ ვინ იქნება „ბედნიერი“ ოჯახის დიასახლისი და ვინ - მამასახლისი. თუმცა ასეთი წყვილებისათვის ამას არსებითი მნიშვნელობა არა აქვს, იმეტი, რომ თუ ორივე აქტიური ჰომოსექსუალი იქნება, ისინი მორიგეობით დაიკისრებენ დიასახლის-მამასახლისის ფუნქციას!

ტფუ! საინტერესოა, ბატონმა ნორლანდმა მიულოცა თუ არა ამ წყვილს „გაბედნიერება“. ამავე დროს, ვურჩევთ, რომ თავისი სიმპათიების რეალიზაცია ჰომოსექსუალებსადმი მან სწორედაც რომ ევროპის ქვეყნებში მოახდინოს. იმ ქართველებს კი, რომელთაც აღნიშნული ჰომოსექსუალური წიადსვლები დვთისგომობად და გარყვნილებად მიგვანია, თავი გაგვანებოს! ასე აჯობებს მისთვისაც და ჩვენთვისაც!

საერთო კუთხე მიჰყავს შურნაღისტ ბიორბი ჯალალანიას

ჩვენ ელიტური ათლეტები ვართ! - ინტერვიუ ფილიპ ლამთან



ფილიპ ლამი ბოლო წლების ერთ-ერთი საუკეთესო მცველია. მასზე სტაბილურად მაღალ დონეზე მოთამაშე უკანასაბუკოს გამორჩევა ძალიან ძნელია.

გერმანიის მეოთხე მსოფლიოს ჩემპიონატის მოპოვებისას კაპიტნობდით. რომელ მომენტში გაიანატრეთ, რომ მსოფლიო ჩემპიონატის მოგება შეგეძლოთ?

საბოლოო ჯამში ზუსტად მხოლოდ მაშინ იცი, როდესაც ეს მოხდება და საფინალო სასტვენის ხმა გაისმება. იქამდე კი, 2012 წლის ევროპის ჩემპიონატის ფინალის მერე ერთ-ერთი ინტერვიუსას ვთქვი, რომ ჩვენი მიზანი მუნდიალის მოგება გახლდათ, როდესაც გამარჯვებასთან რამდენჯერმე ასე ახლოს ხარ და ტიტული ფაქტობრივად შენს ხელშია, სხვაგვარად არც შეიძლება იყოს. თუმცა ცხადია, არაფრის გარანტია არ გაქვს.

ისეთი მომენტი არ იყო, როდესაც იგრძენით, რომ თქვენი გვარი ტიტულზე ამოტივტივდებოდა?

არა, კონკრეტული მომენტი არ ყოფილა. წარმატება წლების მუშაობამ გამოიწვია, ჩვენ განვითარებას ვაგრძელებდით. მაგალითად 2006 წლის ჩემპიონატზე ნახევარფინალში იტალიასთან დაგმარცხდით და იგრძნობოდა, რომ იტალია მსოფლიოს ჩემპიონი გახდებოდა. შემდეგ, ესპანეთთან დავთმეთ მატჩები და ისიც ჩანდა, რომ ესპანელები ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონები გახდებოდნენ. ჩვენც მოგვივიდა დრო და შეცდომებზეც ვისწავლეთ. გამოცდილება გამოვიყენეთ და საკუთარი შესაძლებლობების გვეჯეროდა.

იტალიას ჰქონდა შნო და შესაბამისი თვისებები, რომ ძლიერი მხარეები მაქსიმალურად კარგად წარმოეჩინა. ესპანეთს თავისი გეგმა და სტილი ჰქონდა, რაც

შემდეგ ეპოქაში გადაზარდა. რა იყო გერმანიის განმასხვავებელი ნიშანი და ის განსაკუთრებული რამ, რამაც ნაკრების ტრიუმფი გამოიწვია?

ყველაფერზე მეტად ჩვენი ერთიანობა და გუნდურობა ღირსეულად. გუნდში მხოლოდ 23 მოთამაშეს არ ვგვლისხმობ, მხედველობაში ნაკრებთან დაკავშირებული ყველა ადამიანის ერთიანობა მაქვს. ვფიქრობ, ეს ისედაც ყველამ შენიშნა. ცხადია, ასევე იმპოქმედა სათამაშო კლასმა. ჩემი აზრით, ყველა ფუნდურთელი, პირველი ნომრიდან და წვეშეული 23-ით დამთავრებული, ბოლომდე დაიხარჯა ნაკრებისთვის და ასეთი მასშტაბურ ტურნირებზე ეს ძალიან მნიშვნელოვანია ხოლმე.

როგორც კაპიტანს, ფუნდურთელების ერთ მუშადაც შეგვარა და რამდენიმე კვირის განმავლობაში გარემოზე ზრუნვა გვატემა?

დიახ, ნამდვილად - ასეთი რამ ყოველთვის სახალისოა. ვფიქრობ, თუ ამას ხალისით და იუმორით არ აკეთებ, კაპიტნის სამკლავოდ უნდა მოიხსნა. უნდა თქვა - დიდი მაგალითია, მაგრამ რამე სხვას ვაგვაკეთებ! - მე მართლაც დიდ სიამოვნებას ვიღებდი ამ პროცესით, თუმცა პასუხისმგებლობაც ძალიან დიდია და ყოველთვის ადვილი არ არის ყველაფერთან გამკლავება. მინდორზე უშუალო მოვალეობების გარდა, ამ საქმესაც დიდ დროსა და ყურადღებას ვუთმობდი და როდესაც მსოფლიოს ჩემპიონობით ამთავრებ, ორმაგად კმაყოფილი და ნასიამოვნებო ხარ.

ყოველთვის მახსოვს, როდესაც ვინმე ამ საქმიანობაში ჩარეულა ან თქვენ მიგიციათ მტაცრი გაფრთხილება?

არა! პირველ რიგში, ჩვენ კარგად ორგანიზებული, გამართული გუნდი გვეყავა და ყველამ იცოდა თავისი საქმე. მახსოვს პირველი დღე, როდესაც შევიკრიბეთ, უცვლად მაგიდის გარშემო აღმოვჩნდით და მაგიდის ჩოგბურთის თამაში დაიწყეთ, ყველა ჩვენგანი არ იყო, მაგრამ 15 მოთამაშე მაინც ვიქნებოდით. ეს ჩემი ორგანიზებული არ გახლდათ როგორც კაპიტანი ბევრ სხვა პატარა-პატარა საქმეს აკეთებ, მაგალითად, ამხნევეთ ვინმეს ან ექსპერტს რომელიმე კონკრეტული კომპონენტის დახვეწაში.

აღვირთან მერვედფინალისას ცენტრალური ნახევარმცველის პოზიციიდან მაჯვენა მცველის ამბლუას დაუბრუნდით და ამავე პოზიციაზე დაჩნით ტურნირის ბოლომდე, ეს რთული იყო?

არანაირად. მთელმა ტურნირმა იდეალურად ჩაიარა ჩემთვის და ვფიქრობ, თითოეულმა ჩვენგანმა ყველა ეპიზოდში სწორი გადაწყვეტილება მივიღეთ. რამდენიმე ჩვენგანი ტურნირის დასაწყისიდანვე არ იყო ბოლომდე ჯანმრთელი და მე თავიდანვე ვთქვი, რომ იმ პოზიციაზე უპრობლემოდ ვითამაშებდი რომელიც გუნდს დასჭირდებოდა და იმას ვაგვაკეთებდი, რასაც მწვრთნელი საჭიროდ ჩათვლიდა, ვითამაშებდი იქ, სადაც მისი აზრით, მაქსიმალურად სასარგებლო ვიქნებოდი ნაკრებისთვის. იგივე ვრცელდება ზოგადად ჩემს კარიერაზე. შედეგი მიხედავს, რომ სწორი გადაწყვეტილებები მივიღეთ.

განსაკუთრებული მომენტი იყო როდესაც პირველმა აღმართეთ თასი "მარაკანაზე" და ალბათ გაიანატრეთ, რომ ამ დროს მთელი მსოფლიო თქვენ გიტყავდა?

მთლად ასეც არ არის, როგორც თასის ისტორია აღწერეთ. საფინალო სასტვენს, გუნდური აღნიშვნა, კიბეებზე ასვლა ტრიუმფზე, მედლის მიღება და მერე თასის აღმართვა, უკან დაბრუნება და გუნდური აღნიშვნა. ეს ყველაფერი უნიკალური გახლდათ, ერთობლიობაში. საუკეთესო დაახლოებით ერთ-საათიანი პერიოდი.

მალევე სანაკრებო კარიერის დასრულების შესახებ გააკეთებ განცხადება. არის კონკრეტული მომენტები, როდესაც გენატრებათ ნაკრებში თამაში?

არა. ერთი, რაც მენატრება ბიჭების ნახვა და მათთან ერთად დროის გატარება. ფუნდურთელების არა, შტაბის წევრების. ეს სამწუხაროა, რადგან იაზრებ, რომ როდესაც ნაკრებიდან წახვალ რამდენიმე მათგანს ძალიან იშვიათად ნახავ, ხოლო ზოგს საერთოდ ვეღარასდროს შეხვდები.

ეს კი სამწუხაროა, რადგან ყოველთვის სიამოვნებით ვურთიერთობდი მათთან, ძალიან კარგი და თბილი ურთიერთობა მქონდა, ნაკრებში 10 წელი გავატარე და ყოველთვის კომფორტულად ვგრძნობდი თავს. ბრწყინვალე შტაბი გვეყავს, რომელიც მუდამ მხარში მდებოდა. ეს მენატრება და

მომენატრება. სხვა მხრივ კი თავს კარგად ვგრძნობ და კმაყოფილი ვარ ამ სიტუაციით, სწორი გადაწყვეტილება მივიღე.

ახლა შედარებით მეტი დრო გაქვთ - რას აკეთებთ ისეთს, რასაც აქამდე ვერ აკეთებდით?

მარტივია, ჩემ ოჯახთან ერთად ვატარებ მეტი დროს. მეავს მეუღლე და ჩვენ გვეყავს ვაჟი. ასე რომ, მართლაც სასიამოვნოა სახლში უფრო ხშირად ყოფნა. ეს განსაკუთრებულად სეზონის პირველ ნახევარში შეიმჩნევა, როდესაც სამი სანაკრებო პაუზაა, თითოეული ათი დღე გრძელდება. თუმცა რასაკვირველია, ყველაფერს თავისი დრო აქვს, ნაკრებში 10 წელი გავატარე და ეს დაუვიწყარია.

შეგიძლია წარმოგიდგინოთ, როგორ ხართ ხოლმე ახლა დივანზე კომფორტულად და მდუნებულად წამოწოდებიან და გერმანიის ნაკრების მატჩს უყურებთ?

(იცინის) დივანი და კომფორტი კარგია, მაგრამ მე არ ვარ იმ ტიპის ადამიანი, რომელიც ფუნდურთს ასეთ გარემოში მარტო უყურებს ხოლმე. მიყვარს სხვებთან ერთად ყურება და ასეც ვიტყვი. სასიამოვნო სადამო ტელევიზორის წინ, მეგობრებთან ერთად ნაკრების თამაშის ყურება და ბიჭების გულშემატკივრობა, მართლაც მაგარია!

თქვენ ბევრი ტიტული გაქვთ მოგებულ, როგორც სანაკრებო, ასევე საკლუბო დონეზე. რამდენად რთულია ძველბურთად მოტივირებულად დარჩენა და ახალი მიზნების დასახვა და რა არის თქვენი მიზნები?

ჩემთვის ეს ძალიან ადვილია. თუნდაც ამ სეზონში, "ბაიერნთან" ერთად ტიტულების მოგება ძალიან მინდა, ისევე როგორც, ეს უნდათ "ბაიერნის" რიგებში სხვა გერმანელ მსოფლიოს ჩემპიონებს და დანარჩენებს. ჩვენ ელიტური ათლეტები ვართ და მოტივაციის პრობლემა არ გვაქვს. შესაძლოა, ბევრ წარმატებას მივალწოთ, მაგრამ ამ გამარჯვებების გამოვრება და მიღწევების გაუმჯობესება გვსურს ხოლმე.

"ბაიერნში" ჩემპიონატის და თასის მოგება ავტომატური მიზანია და ყველაზე დიდი გამოწვევა და სურვილი ჩემპიონთა ლიგაზე ტრიუმფია. თუ ჩვენ ამას ისევე შეგვძლება, ყველაფერის ახლენილი ოცნება იქნება.

გამოვიდა სერგეი კრემლიოვის ნიგნ "ლაკრანტი ბერიკა - XX საუკუნის საუკეთესო მენაჯარი"-ს თარგმანის მეოთხე ტომი, რითაც დასრულდა ოთხტომიანი გამოცემა



უკვე გამოვიდა I, II, III და IV ტომები სერგეი კრემლიოვის წიგნისა "ბერიკა - XX საუკუნის საუკეთესო მენაჯარი" (რელიქტორი ალექსანდრე შენბლია). გამოცემა განხორციელდა სახალხო მოძრაობა "სამეგრელოს" მხარდაჭერით. წიგნების შექმნა შეიძლება ზუგდიდში, რუსეთის ფედერაციის ქ.ნ.გ. 68-ში, სახალხო მოძრაობა "სამეგრელოს" ოფისში. ტელ. 599.209.624

თბილისში წიგნის რელიზაცია მოხდება ყოველ ოთხშაბათ დღეს, დილის 9 საათზე, ბაქრადის ქ.ნ.გ. 70-ში (დიდუბე), ან, ყოველდღე, მეტრო "მარჯანიშვილის" ამოსასვლელში, გაზეთების გამყიდველ პაატასთან. ცნობისათვის დარეკეთ - 557.324.374.

სახალხო მოძრაობა "სამეგრელოს" ხელშეწყობით, ქართულ ენაზე, გამოვიდა დიდი რუსი პუბლიცისტის, საქართველოში მე-19 საუკუნის თვალსაჩინო საზოგადოებრივი მოღვაწის ვასილ ველიჩკოს წიგნი "კამპანია", რომელიც ადრე სრულად დაიბეჭდა ჩვენს გაზეთში.

წინასიტყვაობის ავტორები და შემდგენელები არიან როლანდ ჯალალანია და ნუზარ გოგუა.

თბილისში წიგნის რელიზაცია მოხდება ყოველ ოთხშაბათ დღეს, დილის 9 საათზე, ბაქრადის ქ.ნ.გ. 70-ში (დიდუბე), ან, ყოველდღე, მეტრო "მარჯანიშვილის" ამოსასვლელში, გაზეთების გამყიდველ პაატასთან. ცნობისათვის დარეკეთ - 557.324.374



პოპულარული „Facebook“-ზე: ძეგლი ევროპაში. ასოცირებულ ევროპარტელებო! ეგებ რუსთაველზე - დავით აღმაშენებლის ძეგლის ადგილას დაგეგმათ?!

სახალხო მემორიალი მოუამო მინი ჯარ კილვა იმლაპარ ნაშიონალურ ფარეკოპოაზიას, რომლის მინ დამარეკავს სელილოდა და კლავ რადგა ხალხის ჯანმრთელობის საზიხარეო

ლომენტი ბაზნიძის მიერ შექმნილი პრეპარატი არჩენს ავთისეზიან სიმსივნურ დაავადებებს, კუჭ-ნაწლავის გაუჯალბას, კოლიტს, ფისტულას, პროსტატიტს, ბუასილს, ნერვის ანთეზას, ნეფროზს, ფსიქიკურად დაავადებულებს, კურნავს გაფანტული სკლეროზს და შიდსს, შველის ცერებრალურ დამბლას, ყურებთან ჩირქინას, ბოტულიზმს, ტუბერკულოზს, ცეროზს I და II სტადიებში, C-ჰეპატიტს, ნაღვლის ბუშტის დაავადებებს, ანთებით პროცესებს, სახსრების დაავადებებს, ანეორებს იმუნიტეტს, და სხვა მრავალ დაავადებას.

მკურნალის კოორდინატები: თელავი, სოფელი შალაში, ბაზნიძის ბიჭიკო (ლომენტი). ტელ.: 893-22-66-51

თბილისი, აჭურის ქუჩა №70 (მეტრო "ისანთან"), ყოველდღე - შაბათ-კვირის გარდა, 10-დან 16 საათამდე.

მასთან სიცოცხლეზე ხელჩაქმეულები მიღიან და ჯანმრთელები ბრუნდებიან

ISSN 1987-8966 ilori

რედაქციის მისამართი: თბილისი, ბაქრადის ქუჩა №70, საბ.გ. №01018002930 234-32-95

ორი თაბახის ფურცელზე მუქი მოცულობის ტექსტი რედაქციას უნდა გაეკუთვნოს ელ.ფოსტით (ან ლახურის დისკით).

მითავარი რედაქტორი: როლანდ ჯალალანია

ტიმინიკოპირი რედაქტორი: მიხეილ წოღრიშვილი

გაზეთის მენეჯერი: ზურაბ ძოგაბია 599-34-37-27

სარედაქციო საბჭო: ზაურ ბახარია, ზურაბ ჯამბურია, თენგიზ კუბლაშვილი, ზვიად მიტოპია, ბივი სოფიშვილი, ვიტორ ცაავა, ბიორბი სიჭინავა, ნუზარ სალაყია (გალი)

გაზეთ "ილორის" გაცნობა შეგიძლიათ "საძინფორმის" ვებგვერდზე WWW.saqinform.ge